ქ. თელავი 19.12.2019 წ.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №29 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №29 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის საკითხს.

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №29 განკარგულების დანართის შესაბამისად დამტკიცდა მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი სამოქმედო გეგმა და განხორციელების ვადები. სამოქმედო გეგმაში გაიწერა მუნიციპალური სახიფათო ნარჩენების მართვის ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება (ამოცანა 1.2), რომლის განხორციელების ვადები განისაზღვრა 2018-2019-2020 წლებში. აღნიშნული კუთხით, 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტში ღონისძიებები არ გატარებულა. ვინაიდან, ნარჩენების მართვის კოდექსით სახიფათო ნარჩენების სეპარირებისა და შეგროვების სისტემის შექმნისა და დანერგვის ვალდებულების შეუსრულებლობისთვის გათვალისწინებულია საჯარიმო სანქცია 600 ლარის ოდენობით, საჭიროა შევიდეს ცვლილება და სამოქმედო გეგმაში მუნიციპალური სახიფათო ნარჩენების მართვის ღონისძიებების განხორციელების ვადები განისაზღვროს 2020-2021 წლებისთვის, რათა არ მოხდეს თელავის მუნიციპალიტეტის დაჯარიმება.

აგრეთვე, სამოქმედო გეგმაში გაწერილია ქაღალდის და პლასტიკის წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების სისტემის ჩამოყალიბება (ამოცანა 5), რომლის განხორციელების ვადები განისაზღვრა 2018-2019-2020-2021-2022 წლებში. აღნიშნული კუთხით, 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტში ღონისძიებები არ გატარებულა. ვინაიდან, ნარჩენების მართვის კოდექსით ნარჩენების მართვის გეგმით განსაზღვრული ღონისძიების განუხორციელებლობისთვის გათვალისწინებულია საჯარიმო სანქცია 5000 ლარის ოდენობით, საჭიროა შევიდეს ცვლილება და სამოქმედო გეგმაში ქაღალდის და პლასტიკის წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების სისტემის ჩამოყალიბების ღონისძიებების განხორციელების ვადები განისაზღვროს 2020-2021-2022 წლებისთვის, რათა არ მოხდეს თელავის მუნიციპალიტეტის დაჯარიმება.